ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 მაისის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 01 მაისის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №8

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

13 მაისი 2024 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე- საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ირმა ვრფხვაძე ფრაქცია „ხარაგაულისთვის" თავმჯდომარე

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ა.ნიქაბაძე ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკიტხებში,

ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასტან ურთიერთობის საკითხებში,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბრძანების პროექტი, რომლის მიღების საფუძველი გახდა „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 აპრილის N153 დადგენილება,რომლის საფუძველზე 7, 8 და 10 მაისი გამოცხადდა უქმე დღედ აქედან გამომდინარე საკრებულოს სხდომა ნაცვლად 7 მაისისა ჩატარდეს 13 მაისს, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით სხდომა გადატანილი იქნა 13 მაისს, ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ **მომხს: მანანა ბარბაქაძე**

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მოლითში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს/კ36.17.33.329; ს/კ 36.17.33.805; და ს/კ 36.17.33.806) 2025 წლის 22 აპრილის ჩათვლით შპს ,,New Road"-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე **4251** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის **(ს/კ36.03.37.501)** და სოფელ ბორითში მდებარე **599** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.40.561) შპს ,,ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალსათვის საქართველოში" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით სასყიდლით **2024** წლის **30** სექტემბრის ჩათვლით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი .

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკთხზე „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მოლითში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს/კ36.17.33.329; ს/კ 36.17.33.805; და ს/კ 36.17.33.806) 2025 წლის 22 აპრილის ჩათვლით შპს ,,New Road"-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"
აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ სხდომის თავმჯდომარემ, რომელმაც დაავალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თამჯდომარეს ბ.

კვირიკაშვილს ადგილზე მისვლით შეისწავლოს მოლითში წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი, ხომ არ არის სადაო და წარმოადგინოს დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2024 წლის 13 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 13 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკთხზე „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ36.03.37.501) და სოფელ ბორითში მდებარე 599 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.40.561) შპს ,,ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალსათვის საქართველოში" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით სასყიდლით 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2024 წლის 13 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 13 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.**დამტკიცდეს 2024 წლის 13 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).**

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 მაისის მორიგი
სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხს: თამარ ლაცაბიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი,

თანამომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N69. 69233552 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მანანა ბარბაქაძე

5.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მოლითში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს/კ36.17.33.329; ს/კ 36.17.33.805; და ს/კ 36.17.33.806) 2025 წლის 22 აპრილის ჩათვლით შპს „New Road“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ36.03.37.501)
და სოფელ ბორითში მდებარე 599 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.40.561) შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალსათვის საქართველოში“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით სასყიდლით 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე